

შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების წლიური ანგარიში

2020 წელი

მომზადებულია: ტექნიკური დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის
უსაფრთხოების განყოფილების, შრომითი უსაფრთხოების საკითხებში უფროსი
კოორდინატორის მიერ

ქ.თბილისი

სარჩევი

თავი 1: 2020 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში გატარებული ღონისძიებები	4
1. ადმინისტრაციულ/პროცედურული:.....	4
2. ტრენინგები/ინსტრუქტაჟები.....	5
3. ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური	6
თავი 2: ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთ სადგურებზე 2020 წელს რეგისტრირებული ინციდენტების და უბედური შემთხვევების/სხეულის დაზიანების წლიური ანგარიში	8
თავი 3: 2020 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მონიტორინგის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდირებული ღონისძიებები.....	14
3.1 რეკომენდირებული ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური ღონისძიებები ნაგავსაყრელების და გადამტვირთი სადგურების მიხედვით	14
3.2 კახეთის რეგიონი.....	14
3.3 ქვემო ქართლის რეგიონი.....	16
3.4 სამცხე-ჯავახეთის რეგიონი.....	18
3.5 რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი.....	19
3.6 იმერეთის რეგიონი.....	19
3.7 გურიის რეგიონი.....	20
3.8 რეკომენდირებული პროცედურულ/ადმინისტრაციული ღონისძიებები ყველა ობიექტისთვის.....	20
3.9 პერსონალური დამცავი აღჭურვილობა, ხანძარსაწინააღმდეგო და პირველადი სამედიცინო დახმარების აღჭურვილობა	22
3.10 ტრენინგები/ინსტრუქტაჟები ყველა ნაგავსაყრელის და გადამტვირთი სადგურის თანამშრომლისთვის.....	22
თავი 4: 2020 წელს კომპანიაში კორონავირუსული პანდემიის (COVID-19)-ით არსებული გამოწვევები და განხორციელებული პრევენციული, მზაობის და რეაგირების ღონისძიებები.....	23
თავი 5: შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში არსებული მდგომარეობის 2019-2020 წლების შედარებითი ანალიზი.....	25

შესავალი

წინამდებარე ანგარიში ეხება შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ს მიერ შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით 2020 წელს კომპანიაში ჩატარებულ სამუშაოებს და მიღებულ შედეგებს, აგრეთვე მოცემულია რეკომენდაციები ამ კუთხით გასატარებელი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურულ-ტექნოლოგიური და ადმინისტრაციულ-პროცედურული ღონისძიებების შესახებ კონკრეტული ნაგავსაყრელების და გადამტვირთავი სადგურების მიხედვით. მიმდინარე წლის ანგარიშში წინა წლის ანგარიშთან განსხვავებით დამატებულია შრომითი უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში არსებული მდგომარეობის 2019-2020 წლების შედარებით ანალიზის და კორონავირუსულ პანდემიასთან (COVID-19) დაკავშირებული ქვეთავები.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირად არის ორგანიზებული:

- პირველი თავი ეხება 2020 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში გატარებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს.
- მეორე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთ სადგურებზე შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით 2020 წელს რეგისტრირებული ინციდენტების და უბედური შემთხვევების/სხეულის დაზიანებების შესახებ რეგიონების მიხედვით.
- 2020 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მონიტორინგის შედეგების შეფასებაზე დაყრდნობით კონკრეტულ ობიექტებზე რეკომენდირებული ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური და ადმინისტრაციულ/პროცედურული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ანგარიშის მესამე თავში.
- მეოთხე თავი ეთმობა კორონავირუსულ პანდემიასთან (COVID-19) დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებებს.
- მეხუთე თავი მოიცავს შრომითი უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში არსებული მდგომარეობის 2019-2020 წლების შედარებით ანალიზს.

თავი 1: 2020 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში გატარებული ღონისძიებები

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ 2020 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით შემდეგი ქმედებები განახორციელა:

1. ადმინისტრაციულ/პროცედურული:

➤ კომპანია აგრძელებს საერთაშორისო პრაქტიკის, ქვეყანაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის გათვალისწინებით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომის ინსპექციის დეპარტამენტთან თანამშრომლობით დასაქმებული თანამშრომლების შრომითი პირობების გაუმჯობესებას და არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას, კერძოდ „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემა - ქუთაისი“ პროექტის ფარგლებში, PEM Consult, INTECUS GmbH (გერმანია) და შპს „გამა კონსალტინგი“ (საქართველო) თანამშრომლობით, გერმანიის განვითარების ბანკის (KfW), ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (მათთან შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით აღნიშნული პროექტის ფარგლებში თანამშრომლობა მიმდინარე წელს, თუ მომავალში რაიმე სხვა თანამშრომლობის აუცილებლობა არ გახდა საჭირო აღნიშნული კუთხით, დასრულდა) და საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით:

- კომპანიის მიერ მომზადებული და დამტკიცებული ცხრილით (ე.წ. ჩეკლისტი) და 2020 წელს ქვეყანაში არსებული კორონავირუსულ პანდემიასთან (covid-19) დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინებით, მიმდინარე 2020 წლის ზაფხული/შემოდგომის პერიოდში განხორციელდა კომპანიის ყველა მოქმედი ობიექტის მონიტორინგი;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ის შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სპეციალისტთან ერთად მომზადდა და კომპანიის მიერ დამტკიცებულ იქნა შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის ვრცელი ინსტრუქცია, კომპანიის საკუთრებაში არსებული ქ.რუსთავის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის თანამშრომლებისათვის, კერძოდ: მიმდინარე 2020 წელს ქ.რუსთავის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის სამეურნეო ზონაში მოწყობილი ბიოაირის ჩირაღდნული წვის სისტემის მომსახურე პერსონალისათვის;



უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქცია და სისტემის ექსპლუატაციის/ტექნომომსახურების მასალა

2. ტრენინგები/ინსტრუქტაჟები

- მიმდინარე წლის 08 სექტემბერს ქ.რუსთავის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე, განხორციელდა მიმდინარე წელს აღნიშნული ნაგავსაყრელის სამეურნეო ზონაში ახლად მოწყობილი ბიოაირის ჩირაღდნული წვის სისტემის სატესტო რეჟიმში ამუშავება, კერძოდ: აღნიშნული სისტემის მწარმოებელი კომპანიის (CONVECO) ექსპერტთან, ადგილზე სისტემის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შემსრულებელი

კომპანიის (GOKSIN INSAAT) წარმომადგენლებთან, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ზედამხედველი კომპანიის (TRIGITI LTD) წარმომადგენლებთან და ჩვენი კომპანიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად განხორციელდა სისტემის სხვადასხვა სატესტო რეჟიმში ამუშავება, კერძოდ: მწარმოებელი კომპანიის CONVECO-ს ექსპერტმა განხორციელა ბიოაირის სისტემის ინსპექტირება, დამსწრეებს და ბიოაირის ჩირაღდნული წვის სისტემის მომსახურე პერსონალს, თარჯიმნის მეშვეობით გააცნო ექსპლუატაციის და ტექნომსახურების ძირითადი პრინციპები და გარანტიის პირობები, ასევე მან გადმოგვცა ექსპლუატაციის და ტექნომსახურების სახელმძღვანელო დოკუმენტაცია ელექტრონული სახით, ქართულ და ინგლისურ ენებზე;

- შპს „გამა კონსალტინგი“-ის შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სპეციალისტთან და ჩვენი კომპანიის შრომის უსაფრთხოების საკითხებში უფ.კოორდინატორთან ერთად, 2020 წლის 10 ოქტომბერს, ქრუსთავის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის, სამეურნეო ზონაში მოწყობილი ბიოაირის ჩირაღდნული წვის სისტემის სადგურის მომსახურე პერსონალს გადაეცა და გაეცნო, ერთობლივად მომზადებულ შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ვრცელ ინსტრუქციას;



უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქციის გაცნობის ფოტო მასალა

- კომპანიის დაფინანსებით ქრუსთავის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე დასაქმებულმა ელექტრიკოსმა გაიარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული ენერგეტიკული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო „ენერგეტიკოსის“ სასწავლო კურსი, რომელი კურსიც მან წარმატებით გაიარა და გადაეცა კომპეტენტურობის შესაბამისობის სერტიფიკატი რომელიც ძალაშია 2021 წლის დეკემბრამდე (რაც კანონმდებლობით არის მოთხოვნილი და რომელი გამოცდის გავლაც მას ყოველი თორმეტი თვის შემდგომ ხელმეორედ მოუწევს მუდმივად), რომლითაც მას მიენიჭა IV საკვალიფიკაციო ჯგუფი და დაშვებულია 1000 ვოლტზე ზევით ძაბვის ელექტროდანადგარებზე სამუშაოების შესასრულებლად, რაც აგრეთვე შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ შრომის უსაფრთხოების ორგანულ კანონთან და ასევე ქვეყანაში არსებულ სხვა საკანონმდებლო აქტებთან და ნორმებთან.



კომპეტენტურობის შესაბამისობის სერტიფიკატი



საკვალიფიკაციო მოწმობა

3. ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური

- კომპანიამ მიმდინარე წელს ოთხი ნაგავსაყრელი და ერთი გატამტვირთავი სადგური (სადაც დაცვის შენობა-ნაგებობებია) აღჭურვა გაგრილება/გათბობის სისტემით, კერძოდ: ქ.რუსთავის ნაგავსაყრელი ადმინისტრაციულ და დაცვის შენობაში (ჩანაცვლდა არსებული ახლით), ქ.ქუთაისის ნაგავსაყრელის დაცვის შენობაში, ქ.ზუგდიდის ნაგავსაყრელის დაცვის შენობაში, დაბა ურეკის გადამტვირთავი სადგურის დაცვის შენობაში და ქ.ოზურგეთის ნაგავსაყრელის დაცვის შენობაში, სულ ჯამში შეძენილი იქნა ექვსი გაგრილება-გათბობის სისტემა;
- კომპანიამ ქ.რუსთავის არსახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის სამეურნეო ზონაში მოაწყო და ამოქმედა (სისტემა მიერთებულია დახურულ უჯრედში მოწყობილი, ორგანული ნარჩენების აირის შემკრებ ვერტიკალურ ჭებზე, საიდანაც ჰორიზონტალური მილებით დახურულ უჯრედში წარმოქმნილი ბიოაირი ხვდება სიტემაში, რის შემდგომაც ჩირაღდნული წვის სისტემით ხორციელდება ბიოაირის უტილიზაცია) ბიოაირის ჩირაღდნული წვის სადგური;



ქ.რუსთავის ბიოაირის ჩირაღდნული წვის სადგური

- კომპანიამ მის საკუთრებაში არსებული ყველა მოქმედი ობიექტისათვის და სატრანსპორტო საშუალებებისათვის, ელ.ტენდერის მეშვეობით შეისყიდა პირველადი დახმარების სამედიცინო ნაკრები, კერძოდ: მოხდა ობიექტებზე არსებული პირველადი დახმარების სამედიცინო ნაკრების მარაგის შევსება და კომპანიის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა;

- კომპანიამ ელ.ტენდერის მეშვეობით გამოვლენილი შესაბამისი მომსახურების მქონე ორგანიზაციის დახმარებით, განახორციელა ყველა მოქმედ ობიექტზე არსებული ცეცხლმაქრების განახლება, კერძოდ: არსებული რომელიც ვარგისი იყო გადაიტუმბა და სადაც ახლით იყო ჩასანაცვლებელი ჩაანაცვლა;
- კომპანიამ მიმდინარე წელს, ყველა მოქმედ ობიექტზე არსებული ხანძარსაწინააღმდეგო ფარები აღჭურვა 112-ის სამსახურის საინფორმაციო ბანერებით;



- კომპანიამ ელ.ტენდერის მეშვეობით გამოვლენილი შესაბამისი მომსახურების მქონე ორგანიზაციის დახმარებით, ზაფხული-შემოდგომის პერიოდში ყველა მოქმედი ობიექტის (სადაც ამის საჭიროება იყო) სამეურნეო ზონის ტერიტორიაზე განახორციელა მღრღნელების, ქვეწარმავლების და მწერების საწინააღმდეგო სადეზინფექციო-სადერატიზაციო სამუშაოები, კერძოდ: ხუთი თვის განმავლობაში, თვეში ერთხელ ივნისის, ივლისის, აგვისტოს, სექტემბერის და ოქტომბრის თვეებში (აღნიშნულ სამუშაოებს კომპანია ყოველ წელს ახორციელებს);


4. დაგეგმილი ქმედებები

- კომპანია მომდევნო 2021 წელს გეგმავს ყველა მოქმედი არასახიფათო ნაგავსაყრელებისათვის შეიძინოს საგორილო ურიკები გაფანტული ნარჩენების შესაგროვებლად (რაც ნაგავსაყრელზე მომუშავე პერსონალს შეუმსუბუქებს ფიზიკურ დატვირთვას);
- კომპანიის მიერ 2021 წელს იგეგმება, არსებული ყველა ნაგავსაყრელის (დახურულის და მოქმედის) და გადამტვირთავი სადგურის კვამანის აღმნიშვნელი ბანერების ახლით ჩანაცვლება და ასევე დაგეგმილია ყველა მოქმედ ობიექტზე არსებული ხანძარსაწინააღმდეგო ფარების აღჭურვა ცეცხლმაქრის სწორად მოხმარების საინფორმაციო ბანერით;



კომპანიის აღმნიშვნელი ბანერი


ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია



- მომდევნო 2021 წელს კომპანიის მიერ იგეგმება, გასულ 2019 წელს, ელ.ტენდერის მეშვეობით შესყიდული პროექტის, კერძოდ: ქ.რუსთავის არსახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის სამეურნეო ზონაში არსებული შიდა საუწყებო და საფეხმავლო გზების დახაზვის, სატრანსპორტო და საფეხმავლო სივრცეების გამიჯვნის, უსაფრთხო გადადგილებისა და მოძრაობის რეგულირებისათვის საჭირო ამკრძალავი/მაფრთხილებელი ნიშნებისა და საგზაო მონიშვნების მოწყობა/რეაბილიტაციის, სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებას (რომელიც მიმდინარე 2020 წელს კომპანიის მიერ არაერთხელ გამოცხადებული ელ.ტენდერის მიუხედავად, სხადასხვა ობიექტურ

მიზეზთა გამო ჩაიშალა და ვერ გამოვლინდა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაცია);

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტანტი ორგანიზაციის რეკომენდაციით, გზების დასახაზად საჭირო საღებავის გამოყენება შესაძლებელია ნიადაგის ტემპერატურის არანაკლებ 10^0-12^0 გარადუსისას, აქედან გამომდინარე ზემოაღნიშნული სამუშაოების განხორციელება მიზანშეწონილია გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში.



1. გენ.გეგმა



2. საგზაო მონიშვნის და მოძრაობის

მიმართულების

გეგმა

- კომპანია მზად არის და გეგმავს ქვეყანაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის შესაბამისად, დასაქმებული თანამშრომლები დააზღვიოს უბედური შემთხვევისაგან, ასევე უზრუნველყოს ობიექტებზე მომუშავე პერსონალი შესაბამისი სამედიცინო აცრებით და პერიოდული სამედიცინო შემოწმებით შესაბამისი ბრძანების ძალაში შესვლის და ქვეყანაში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების მზადყოფნისთანავე (ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით უნდა დარეგულირდეს);
- კომპანია მომავალში გეგმავს შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური რაც შესაბამისობაში იქნება ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობასთან და ასევე გააუმჯობესებს აღნიშნულ საქმიანობას და უფრო მოქნილს გახდის ამ მიმართულებას კომპანიაში (საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ - მიღების თარიღი 19/02/2019 წელი);


თავი 2: ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთ სადგურებზე 2020 წელს რეგისტრირებული ინციდენტების და უბედური შემთხვევების/სხეულის დაზიანების წლიური ანგარიში

რეგიონი	რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა	დაზარალებულთა პოზიცია	პოლიგონი/გადამტვირთი სადგური	ინციდენტის/დაზიანების ტიპი	გაწეული დახმარება	კომპანიის მიერ გაწეული ფინანსური ხარჯი	მიღებული პრევენციული ზომები
კახეთი							
მცხეთა-მთიანეთი	2	ნაგავსაყრელის ოპერატორი	დაბა.თიანეთი	ვირუსული ინფექცია (covid-19)	112-ის სამსახურთან დაკავშირება		კომპანიის მიერ დამტკიცებული ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნის და რეაგირების გეგმით გაწერილი რეგულაციების მაქსიმალური დაცვა
		ნაგავსაყრელის ოპერატორი	დაბა.სტეფანწმინდა	ვირუსული ინფექცია (covid-19)	112-ის სამსახურთან დაკავშირება		
ქვემო ქართლი	1	ნაგავსაყრელის ოპერატორი	ქ.დმანისი	ვირუსული ინფექცია (covid-19)	112-ის სამსახურთან დაკავშირება		კომპანიის მიერ დამტკიცებული ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნის და

							რეაგირების გეგმით გაწერილი რეგულაციების მაქსიმალური დაცვა
შიდა ქართლი	2	ნაგავსაყრელის ოპერატორი;	ქ.გორი	უბედური შემთხვევა (გარდაცვალება, მიზეზი: გამოძახებული სასწრაფო ბრიგადის მიერ დასახელდა გულის კუნთის იშემიური დაზიანება);	გამოძახებული იქნა სასწრაფო დახმარების ბრიგადა;		პერსონალის გაფრთხილება, რომ პერიოდულად გაიარონ სამედიცინო შემოწმება
		რეგიონული მართვის დეპარტამენტის კოორდინატორი (რეგიონული მართვის საკითხებში);	შიდა ქართლის რეგიონი	ვირუსული ინფექცია (covid-19)	112-ის სამსახურთან დაკავშირება		კომპანიის მიერ დამტკიცებული ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნის და რეაგირების გეგმით გაწერილი რეგულაციების მაქსიმალური დაცვა

სამცხე-ჯავახეთი	1	ნაგავსაყრელის ოპერატორი	ქ.ბორჯომი	ვირუსული ინფექცია (covid-19)	112-ის სამსახურთან დაკავშირება	კომპანიის მიერ დამტკიცებული ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნის და რეაგირების გეგმით გაწერილი რეგულაციების მახსიმალური დაცვა
იმერეთი	1	ნაგავსაყრელის ოპერატორი	ქ.ტყიბული	ვირუსული ინფექცია (covid-19)	112-ის სამსახურთან დაკავშირება	კომპანიის მიერ დამტკიცებული ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნის და რეაგირების გეგმით გაწერილი რეგულაციების მახსიმალური დაცვა

რაჭა- ლეჩხუმი- ქვემო სვანეთი							
სამეგრელო- ზემო სვანეთი							
გურია	1	გადამტვირთავი სადგურის ოპერატორი	დაბა.ურეკი	ვირუსული ინფექცია (covid-19)	112-ის სამსახურთან დაკავშირება		კომპანიის მიერ დამტკიცებუ ლი ინფექციური დაავადების თვის მზადყოფნის და რეაგირების გეგმით გაწერილი რეგულაციებ ის მაქსიმალურ ი დაცვა



დიაგრამა 1: ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთ სადგურებზე 2020 წელს რეგისტრირებული ინციდენტები და უბედური შემთხვევები/სხეულის დაზიანება რეგიონების მიხედვით

თავი 3: შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მონიტორინგის შედეგების შეფასებაზე დაყრდნობით გამოკვეთილ ობიექტებზე რეკომენდირებული გასატარებელი ღონისძიებები

3.1 რეკომენდირებული ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური ღონისძიებები რეგიონების მიხედვით

3.2 კახეთის რეგიონი

ობიექტის დასახელება და მდებარეობა	სადგურის ტერიტორია/ადგილი	რისკის კატეგორია	რისკის ტიპი	ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური
ქ.ყვარელის გადამტვირთავი სადგური	<ul style="list-style-type: none"> ➤ გადამტვირთი პლატფორმა, ნაგვის ბუნკერების განთავსების ტერიტორია, სამომსახურეო ბაქანი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მაღალი პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ფიზიკური ტრამვები ➤ სიმალიდან ვარდნა, მოტეხილობა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ „მერსედესი“-ის მარკის მუნიციპალური ნაგავმზიდი ბოლომდე ვერ ახერხებს ბუნკერში ჩამოსაცლელ წერტილამდე მისვლას, ბაქანზე არსებული რკინის ბორდიურის სიმაღლის გამო (ნარჩენის მცირე რაოდენობა ბაქანზე იყრება და პერსონალს უწევს ნარჩენების სამუშაო ნიჩბებით ჩაყრა) ➤ სამომსახურეო ბაქანზე არსებულ დამცავ მოაჯირზე ჰორიზონტალური ძელის დამატება (შუა ჰორიზონტალური ძელი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე) ➤ ტერიტორიის დეზინფექცია (ზაფხული-შემოდგომის პერიოდში)
ქ.წნორის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი	<ul style="list-style-type: none"> ➤ ნაგავსაყრელის მთელი ტერიტორია, სადარაჯო ჯიხური, ფანჩატური, ავტოფარეხი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მაღალი პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ფიზიკური ➤ ზაფხულის პერიოდი მაღალი ტემპერატურა ზამთრის პერიოდი დაბალი ტემპერატურა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ელ.ენერგია არ არის, მოსაწყობია ➤ ტერიტორიის ნაწილი შემოსაღობია (ტბის მხარე) ➤ ტერიტორიის დეზინფექცია (ზაფხული-შემოდგომის პერიოდში)

3.3 ქვემო ქართლის რეგიონი

ობიექტის დასახელება და მდებარეობა	სადგურის ტერიტორია/ადგილი	რისკის კატეგორია	რისკის ტიპი	ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური
ქ.რუსთავის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენის სორტირების შენობა, სამეურნეო ზონა, სარემონტო საამქრო, ავტოგასამართი სადგურის სამარაგე ავზი, ადმინისტრაციულ, შიდა საავტომობილო გზა, პარკინგი, სასწორი 	<ul style="list-style-type: none"> მაღალი პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ფიზიკური ტრამვები, მექანიკური, დამტვრევა, გაგლეჯა, გაჭრა, მძიმე ტრამვა, შესაძლოა ფატალური შედეგი გონების დაკარგვა, ტოქსიკური მოწამვლა, დამწვრობა, შესაძლოა ფატალური შედეგი დაჯახება, გაჭყლეტა/გასრესა, გაგლეჯა, ტრამვა 	<ul style="list-style-type: none"> კონვეირის მბრუნავი და ჩამორევი ნაწილების იზოლაცია დაფარვა ტერიტორიის დეზინფექცია (ყოველ თვე წლის განმავლობაში) საბურავების რემონტი (კონტრაქტორი კომპანიის დახმარებით) მინიმუმ სამი ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფის გამოყოფა, ინსტრუქტაჟის და სამაშველო ღონისძიებების შემუშავება, დატრენინგება, განწეს-დაშვების ფორმის გამოყენება, შესაბამისი ი.დ.ს.-თი უზრუნველყოფა, ჯანგბადის ბალონით აღჭურვა ან კონტრაქტორი ორგანიზაციის დახმარებით ავზის პერიოდული მომსახურება შიდა სამოძრაო გზების ზოლების დაგეგმარებით მოწყობა 2021 წლის გაზაფხულზე (შესყიდული პროექტის განხორციელება, ელ.ტენდერის დახმარებით კონტრაქტორი ორგანიზაციის მოძიება)
ქ.ბოლნისის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი	<ul style="list-style-type: none"> ნაგავსაყრელის მთელი ტერიტორია, სადარაჯო ჯიხური, ფანჯატური, ავტოფარეხი 	<ul style="list-style-type: none"> მაღალი პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ფიზიკური ზაფხულის პერიოდი მაღალი ტემპერატურა ზამთრის პერიოდი დაბალი ტემპერატურა 	<ul style="list-style-type: none"> ელ.ენერჯია არ არის, მოსაწყობია ტერიტორიის დეზინფექცია (ზაფხული-შემოდგომის პერიოდში)

<p>ქ.მარნეულის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ ნაგავსაყრელის მთელი ტერიტორია, სადარაჯო ჯიხური, ფანჩატური, ავტოფარეხი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მაღალი პრიორიტეტი ➤ მაღალი პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ფიზიკური ➤ ზაფხულის პერიოდი მაღალი ტემპერატურა, ზამთრის პერიოდი დაბალი ტემპერატურა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ელ.ენერგია არ არის, მოსაწყობია ➤ ტერიტორიის დეზინფექცია (ზაფხული-შემოდგომის პერიოდში)
<p>დ.მანგლისის გადამტვირთავი სადგური</p>	<p>გადამტვირთი პლატფორმა, ნაგვის ბუნკერების განთავსების ტერიტორია, სამომსახურეო ბაქანი</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ მაღალი პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ფიზიკური ტრამეები ➤ სიმალიდან ვარდნა, მოტეხილობა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ „მერსედესი“-ის მარკის მუნიციპალური ნაგავმზიდი ბოლომდე ვერ ახერხებს ბუნკერში ჩამოსაცლელ წერტილამდე მისვლას, ბაქანზე არსებული რკინის ბორდიურის სიმაღლის გამო (ნარჩენის მცირე რაოდენობა ბაქანზე იყრება და პერსონალს უწევს ნარჩენების სამუშაო ნიჩბებით ჩაყრა) ➤ სამომსახურეო ბაქანზე არსებულ დამცავ მოაჯირზე ჰორიზონტალური ძელის დამატება (შუა ჰორიზონტალური ძელი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე) ➤ ტერიტორიის დეზინფექცია (ზაფხული-შემოდგომის პერიოდში)

3.4 სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

ობიექტის დასახელება და მდებარეობა	სადგურის ტერიტორია/ადგილი	რისკის კატეგორია	რისკის ტიპი	ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური
ქ.ზორჯომის გადამტვირთავი სადგური	<ul style="list-style-type: none"> ➤ ნაგავსაყრელის მთელი ტერიტორია, სადარაჯო ჯიხური, ფანჩატური, ავტოფარეხი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მაღალი პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ფიზიკური ტრამპეზი ➤ სიმაღლიდან ვარდნა, მოტეხილობა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ „მერსედესი“-ის მარკის მუნიციპალური ნაგავმზიდი ბოლომდე ვერ ახერხებს ბუნკერში ჩამოსაცლელ წერტილამდე მისვლას, ბაქანზე არსებული რკინის ბორდიურის სიმაღლის გამო (ნარჩენის მცირე რაოდენობა ბაქანზე იყრება და პერსონალს უწევს ნარჩენების ხელით ჩაყრა) ➤ სამომსახურეო ბაქანზე არსებულ დამცავ მოაჯირზე ჰორიზონტალური ძელის დამატება (შუა ჰორიზონტალური ძელი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე) ➤ ტერიტორიის დეზინფექცია (ზაფხული-შემოდგომის პერიოდში)
ქ.ნინოწმინდის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი	<ul style="list-style-type: none"> ➤ ნაგავსაყრელის მთელი ტერიტორია, სადარაჯო ჯიხური, ფანჩატური, ავტოფარეხი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მაღალი პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ფიზიკური ➤ ზამთრის პერიოდი დაბალი ტემპერატურა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ელ.ენერგია არ არის, მოსაწყობია ➤ ტერიტორიის დეზინფექცია (ზაფხული-შემოდგომის პერიოდში)
ქ.ახალციხის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი	<ul style="list-style-type: none"> ➤ ნაგავსაყრელის მთელი ტერიტორია, ➤ სადარაჯო ჯიხური, ფანჩატური, ავტოფარეხი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ საშუალო პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ფიზიკური ➤ ზაფხულის პერიოდი მაღალი ტემპერატურა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მოსასვენებელი და საკვებად გამიზნული ადგილების ხელმისაწვდომობა (ფანჩატურის მოწყობა) ➤ ტერიტორიის დეზინფექცია (ზაფხული-შემოდგომის პერიოდში)

3.5 რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი

ობიექტის დასახელება და მდებარეობა	სადგურის ტერიტორია/ადგილი	რისკის კატეგორია	რისკის ტიპი	ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური
ქ.ამბროლაურის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი	<ul style="list-style-type: none"> ➤ ნაგავსაყრელის მთელი ტერიტორია, სადარაჯო ჯიხური, ფანჩატური, ავტოფარეხი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მაღალი პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ფიზიკური ➤ ზაფხულის პერიოდი მაღალი ტემპერატურა, ზამთრის პერიოდი დაბალი ტემპერატურა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მოსასვენებელი და საკვებად გამიზნული ადგილების ხელმისაწვდომობა (ფანჩატურის მოწყობა) ➤ ელ.ენერგია არ არის, მოსაწყობია ➤ ტერიტორიის დეზინფექცია (ზაფხული-შემოდგომის პერიოდში)

3.6 იმერეთის რეგიონი

ობიექტის დასახელება და მდებარეობა	სადგურის ტერიტორია/ადგილი	რისკის კატეგორია	რისკის ტიპი	ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური
ქ.სამტრედიის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი	<ul style="list-style-type: none"> ➤ ნაგავსაყრელის მთელი ტერიტორია, სადარაჯო ჯიხური, ფანჩატური, ავტოფარეხი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მაღალი პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ფიზიკური ➤ ზაფხულის პერიოდი მაღალი ტემპერატურა, ზამთრის პერიოდი დაბალი ტემპერატურა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ელ.ენერგია არ არის, შესაყვანია ➤ ტერიტორიის დეზინფექცია (ზაფხული-შემოდგომის პერიოდში)

3.7 გურიის რეგიონი

ობიექტის დასახელება და მდებარეობა	სადგურის ტერიტორია/ადგილი	რისკის კატეგორია	რისკის ტიპი	ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური
დ.ურევის გადამტვირთავი სადგური	<ul style="list-style-type: none"> ნაგავსაყრელის მთელი ტერიტორია, სადარაჯო ჯიხური, ფანჩატური, ავტოფარეხი 	<ul style="list-style-type: none"> მაღალი პრიორიტეტი 	<ul style="list-style-type: none"> ფიზიკური ტრამპეზი სიმაღლიდან ვარდნა, მოტეხილობა 	<ul style="list-style-type: none"> „მერსედესი“-ის მარკის მუნიციპალური ნაგავმზიდი ბოლომდე ვერ ახერხებს ბუნკერში ჩამოსაცლელ წერტილამდე მისვლას, ბაქანზე არსებული რკინის ბორდიურის სიმაღლის გამო (ნარჩენის მცირე რაოდენობა ბაქანზე იყრება და პერსონალს უწევს ნარჩენების სამუშაო ნიჩბებით ჩაყრა) სამომსახურეო ბაქანზე არსებულ დამცავ მოაჯირზე ჰორიზონტალური ძელის დამატება (შუა ჰორიზონტალური ძელი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე) ტერიტორიის დეზინფექცია (ზაფხული-შემოდგომის პერიოდში)

3.8 რეკომენდირებული პროცედურულ/ადმინისტრაციული ღონისძიებები ყველა ობიექტისთვის

- ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთ სადგურებზე შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული ჟურნალების და სხვა დოკუმენტაციის მოწესრიგებულად წარმოება/შენახვა:

 - ყოველდღიური ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალი (ობიექტის ტერიტორიაზე არცერთი ვიზიტორი არ დაიშვება ჟურნალში რეგისტრაციის გარეშე)
 - ინციდენტების/უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი (სავალდებულო ყველა შემთხვევის/ინციდენტის აღრიცხვა-ანგარიშგება)
 - ვრცელი ინსტრუქციები ოპერატორი/მექანიზატორი/დამხარისხებელი/ელექტრიკოსი (ყველა თავთავიანთ ინსტრუქციას გაცნობილი)
 - ყოველდღიური მოკლე ბროშურები (გამოკრული თვალსაჩინო ადგილას)
 - გველის საწინააღმდეგო შრატის განთავსების მისამართები/ნომრები ადგილმდებარეობის მიხედვით (გამოკრული თვალსაჩინო ადგილას)
 - პირველადი სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების სასწავლო მასალა (გაცნობილი ყველა ობიექტის თანამშრომელი)

დასაქმებულების მხრიდან მაქსიმალური ყურადღების გამოჩენა სავალდებულო ჟურნალების წარმოების და მათი მოვლა/პატრონობის დროს, შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის ცალკე საქალაქო დონეზე შენახვა

- არსებული კორონავირუსული პანდემიის (**covid-19**) პირობებში საწარმოებელი ჟურნალების მოწესრიგებულად წარმოება/შენახვა და შემუშავებული „ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა“-ს გათვალისწინებით სამუშაო პროცესის წარმართვა:

- სამუშაოს დაწყების წინ პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების (ტემპერატურის გაზომვით და გამოკითხვით) ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი (ობიექტის ტერიტორიაზე არცერთი დასაქმებული და ვიზიტორი არ დაიშვება ტემპერატურის გაზომვის და გამოკითხვის გარეშე)
- თანამშრომელთა რეგისტრაციის ჟურნალი სამსახურში მათი ერთად ტრანსპორტირების დროს
- ტერიტორიაზე სამუშაო პროცესის დროს „ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა“-ით გაწერილი პროცედურების დაცვა

ვირუსული პანდემიის პერიოდში დასაქმებულების მხრიდან მაქსიმალური ყურადღების გამოჩენა სავალდებულო ჟურნალების წარმოების და მათი მოვლა/პატრონობის დროს

- ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთ სადგურებზე არსებული ინფრასტრუქტურის და სპეცტექნიკის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ყოფნა:
 - პერიოდული მონიტორინგი/კონტროლი კომპანიის მმართველობაში არსებულ ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთ სადგურებზე ინფრასტრუქტურის და სპეცტექნიკის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ყოფნის მიზნით
- ტერიტორიის სისუფთავე და დასაქმებულების პირადი ჰიგიენა
 - გარკვეული პერიოდულობით შენობების/ტერიტორიის წყლით მორეცხვა
 - მაქსიმალური სისუფთავის დაცვა ობიექტებზე
 - თანამშრომლების მიერ პირადი ჰიგიენის მაქსიმალური დაცვა
- კომპანიის მმართველობაში არსებულ ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთ სადგურებზე აკრძალული ქმედებები
 - თამბაქოს მოწევა
 - არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა
 - მობილური და სხვა საშუალებების გამოყენება ნარჩენების სორტირების პროცესში (რუსთავის ნაგავსაყრელი) და სხვა შესაბამისი სამუშაოების შესრულების დროს
- თანამშრომლების სამედიცინო მომსახურება
 - საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლების პერიოდული აცრა დაავადებებისგან
 - სამუშაო საათებში უბედური შემთხვევისგან დაზღვევა
 - ჯანმრთელობის მდგომარეობის პერიოდული შემოწმება
- ნარჩენების მიღების, სორტირების და უჯრედში განთავსების პროცესში შრომითი უსაფრთხოების და ჯანმრთელობის პროცედურების დაცვა
 - ნარჩენის სპეცტექნიკიდან დაცლა და დატვირთვა არ ხდებოდეს მაღალი სიმაღლიდან, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი ობიექტებზე დამტვერიანების ხარისხი

- ნარჩენის მიღების, სორტირების, შეგროვების და უჯრედში განთავსების პროცესში მაქსიმალური სიფრთხილის და ყურადღების გამოჩენა
- მაქსიმალური კონტროლი პოლიგონზე ნარჩენის მიღებისას მავნე ბიოლოგიური და ქიმიური (სახიფათო ნარჩენების) ნივთიერების მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით

3.9 ინდივიდუალური დაცვის საშუალება

- კომპანიის მმართველობაში არსებულ ყველა ნაგავსაყრელის და გადამტვირთი სადგურის თანამშრომლის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებით უზრუნველყოფა.
 - ინდივიდუალური დაცვის საშუალება უნდა შეესაბამებოდეს თვითოელი თანამშრომლის პოზიციას (ოპერატორი, მექანიკოსი, დამხარისხებელი, ელექტრიკოსი, ბიარის ჩირაღდნული წვის სისტემის ოპერატორი, სიმალეზე და დახურულ სივრცეში მომუშავე თანამშრომელი)
 - თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ინსტრუქტაჟები/ტრენინგები ინდივიდუალური დაცვის საშუალების დანიშნულების, გამოყენების და შენახვის შესახებ

3.10 ტრენინგები/ინსტრუქტაჟები ყველა ნაგავსაყრელის და გადამტვირთავი სადგურის თანამშრომლისთვის

- პერსონალის პერიოდული ინსტრუქტაჟი/ტრენინგი კომპანიის ზოგად შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი ინდივიდუალური დაცვის საშუალების გამოყენების შესახებ;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრების გამოყენების შესახებ;


თავი 4: 2020 წელს კომპანიაში კორონავირუსული პანდემიის (COVID-19)-ით არსებული გამოწვევები და განხორციელებული პრევენციული, მზაობის და რეაგირების ღონისძიებები

1. ადმინისტრაციულ/პროცედურული:

მიმდინარე 2020 წელს მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში გავრცელდა კორონავირუსული ინფექცია (covid-19)-ი, რის გამოც მსოფლიო ჯანდაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნის მთავრობამ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რის საფუძველზეც სტრატეგიულ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აუცილებელი პროფილის მქონე ობიექტებზე დასაქმებულთათვის სამუშაო სივრცეში მთავრობის დადგენილებით და

სამინისტროს ბრძანებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება N181; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-149/ო, N01-227/ო) ამოქმედდა ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო რეგულაციები და სავალდებულო ქცევის წესები, ასევე დადგინდა ზოგადი სხვადასხვა სახის რეკომენდაციები, რისი მზაობისთვისაც კომპანიამ გადაადგა შემდეგი ქმედითი ნაბიჯები, კერძოდ:

- შპს „გამა კონსალტინგი“-ის შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სპეციალისტთან ერთად შემუშავდა და კომპანიის მიერ დამტკიცებულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის N01-149/ო ბრძანების, დანართი 1-ის შესაბამისად „ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა“ თანმდევი 5 დანართით, კერძოდ: დანართი-1 არსებულ პანდემიასთან კომპანიის საკუთრებაში არსებული ობიექტების ტერიტორიაზე შესვლამდე გასავლელი სავალდებულო კითხვარი; დანართი-2 კომპანიის მოქმედი ობიექტების ტერიტორიაზე ვირუსის (covid-19) გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით არსებული ქცევის წესები; დანართი-3 ინსტრუქტაჟის თემატიკა; დანართი-4 ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი; დანართი-5 თანამშრომელთა ერთობლივი ტრანსპორტირების დროს საწარმოებელი ჟურნალი;



2. ტრენინგები/ინსტრუქტაჟები

- მიმდინარე წლის გაზაფხულის პერიოდში შპს „გამა კონსალტინგი“-მა და ჩვენმა კომპანიამ, არსებული პანდემიის პირობებში რაც კორონავირუსულ ინფექციას (covid-19)-ს უკავშირდება, ჩვენს ქვეყანაში არსებული რეგულაციების და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ორგანიზება გაუკეთა ერთობლივ დისტანციურ ონლაინ ჩართვებს (სულ ჯამში დაგეგმილი იყო რვა ჩართვა კვირაში ერთხელ, რომელიც 20.05.2020-ში დასრულდა), რომელსაც ესწრებოდნენ ორგანიზატორი კომპანიის სპეციალისტები და ჩვენი კომპანიის თანამშრომლები (ტექნიკური დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფის და შრომის უსაფრთხოების განყოფილების, უფ.კოორდინატორი - შრომის უსაფრთხოების საკითხებში, რუსთავის

ნაგავსაყრელის მენეჯერი და რეგიონული მართვის დეპარტამენტის, კოორდინატორები - რეგიონული მართვის საკითხებში). აღნიშნული ონლაინ ჩართვების მიზანი იყო კომპანიის ოფისებში, ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთავ სადგურებზე დასაქმებულთა მზაობის ამაღლება ახლად შექმნილი სირთულეების მიმართ, რაც საკმაოდ იმფორმატიული იყო ორივე მხარისათვის, როგორც ორგანიზატორი ისე ჩვენი კომპანიის რეგიონული მენეჯერებისათვის, რომლებმაც მიღებული ინფორმაცია და ჩართვებისათვის მომზადებული სხვადასხვა საინფორმაციო და სარეკომენდაციო სახის მასალა (ობიექტებზე ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებების რეკომენდაციები და ამ პირობებში სამუშაო სივრცეში სავალდებულო ქცევის წესები) ე.წ. გედლაინების სახით გადასცეს და სიტყვიერად გაუზიარეს თავიანთ დაქვემდებარებაში არსებულ ობიექტებზე მომუშავე პერსონალს;



სესია 1



სესია 2



სესია 3



სესია 4



სესია 5



სესია 6

3. ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური


- არსებული კორონავირუსული ინფექციის (covid-19)-ის გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების და მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, კომპანიამ მის საკუთრებაში არსებულ ყველა მოქმედ ობიექტზე დასაქმებული თანამშრომლისათვის შეიძინა და გადასცა შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, კერძოდ: სამუშაო ხელთათმანი, სამედიცინო პირბადე, სახის დამცავი ფარი, სამი ტიპის სადეზინფექციო ხსნარი (ხელების, ზედაპირის დასამუშავებელი და დეზობარიერის), სიცხის გამზომი საშუალებები და დეზობარიერის ბალიშები;

თავი 5: შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში არსებული მდგომარეობის 2019-2020 წლების შედარებითი ანალიზი


კომპანიაში გასული 2019 წლის ანგარიშში გაწერილი სამომავლო 2020 წელს განსახორციელებელი ქმედებების გეგმა ზოგადად საერთო აქტივობა საგრძნობლად შეაფერხა ქვეყანაში და მსოფლიოში გამოწვეულმა კორონავირუსულმა (covid-19) პანდემიამ. ყოველივე ზემოაღნიშნული ვითარების გამო რომელიც თავადაც მოითხოვდა მყისიერ და დაუყოვნებლივ გამოწვეული სირთულეებისათვის მზაობას როგორც ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებებისათვის ისე კომპანიის საქმიანობისათვის. მიუხედავად აღნიშნული ვითარებისა და წარმოქმნილი გამოწვევებისა, კომპანიამ განახორციელა როგორც დაგეგმილი 2020 წელს განსახორციელებელი ქმედებების ნაწილი ისე ახლად წარმოქმნილი გამოწვევების საპასუხო ნაბიჯები გადადგა მის დაქვემდებარებაში არსებულ ობიექტებზე, დასაქმებული პერსონალის უსაფრთხოებისათვის და საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის. აღნიშნულ თავში წარმოდგენილი იქნება შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში 2019-2020 წლების შედარებითი მდგომარეობა ციფრებში, ცხრილის და დიაგრამის სახით.

შრომის უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში 2019-2020 წლების შედარებითი მდგომარეობის ცხრილი

2019 წელს დაგეგმილი ქმედებები				2020 წელს განხორციელებული ქმედებები				
ადმინისტრაციულ/პროცედურული	ტრენინგები/ინსტრუქტაჟები	ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური	დასახარჯი რესურსი	ადმინისტრაციულ/პროცედურული	ტრენინგები/ინსტრუქტაჟები	ინფრასტრუქტურულ/ტექნოლოგიური	დასახარჯული რესურსი	კომპანიის პიუჯეტის ხარჯი პროცენტულად
1	1	5	29,600	2	4	7	658,037	4,3%



დიაგრამა 2: 2019 წელს რეგისტრირებული ინციდენტები/უბედური შემთხვევები



დიაგრამა 2: 2020 წელს რეგისტრირებული ინციდენტები/უბედური შემთხვევები

2019 წელს რეგისტრირებული ინციდენტების /უბედური შემთხვევების რაოდენობასთან შედარებით (რომელიც იმერეთის რეგიონში ფიქსირდება მხოლოდ ორი ინციდენტი) 2020 წელს დაფიქსირებულია 7 ინციდენტი და 1 უბედური შემთხვევა, აღნიშნული ინციდენტების ზრდა გამოწვეულია და უკავშირდება კორონავირუსულ ინფექციას და ასევე დასაქმებულების მხრიდან, კომპანიაში აღნიშნული კუთხით არსებული პროცედურების დაცვის მიმართ (ობიექტზე სამუშაო პროცესის დროს მომხდარი ინციდენტის/უბედური შემთხვევის რეგისტრაცია ყველა ობიექტზე არსებულ შემთხვევების და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალში და შესაბამისი ფორმით კომპანიის შრომის უსაფრთხოების საკითხებში უფროსი კოორდინატორის ინფორმირება) გაზრდილ პასუხისმგებლობას და მზადყოფნას.